

## პირველი ნაბიჯი სამეურნეო სკოლისა

(პირველად დაიბეჭდა 1884 წლის „დროების“ 227-ე ნომერში)

მოგეხსენებათ, რომ ამ ერთი წლის წინად ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილმა დააარსა სამეურნეო სკოლა სოფელს წინამძღვრიანთკარში, რომელიც მდებარეობს არაგვის მარცხენა ნაპირზედ, ექვსი-შვიდი ვერსის სიშორეზედ ამ მდინარის აღმოსავლეთით. სკოლაში წლიური ეგზამენები ამ თვის 23 რიცხვში და ჩვენ, მიწვეულნი, დავესწარით მათზედ. ამ სკოლაზედ ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, როგორც ქართულს, ისე რუსულს ენაზედ. უკვე განმარტებულია მისი მნიშვნელობა, სარგებლობა და მიმართულება, - აგრეთვე არა ერთხელა თქმულა ვრცელი სიტყვა, იმის შესახებ თუ რა რიგზე და წესზედ მიმდინარეობს სწავლა და ამიტომ ჩვენ ამ საგნებს აღარ შევეხებით. გაგაცნობთ მხოლოდ მას, თუ რა ნაყოფი გამოუღია სკოლას ერთი წლის განმავლობაში და რა შეუძენიათ მის ნორჩ მოწაფეებსა.

ერთი დიდი დაბრკოლება უშლიდა ხელს ამ სკოლას მთელის წლის განმავლობაში, მის მოსწავლეთა მუდმივ, გაბმით არ უვლიათ სკოლაში; დადიოდნენ თურმე ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხამუშ-ხამუშ. ერთს თვეში რომ ევლოთ რომელიმე მოსწავლეთა, მეორე თვეში სახლში რჩებოდნენ და შინაურ საქმეებს აკეთებდნენ. ამ გვარად ცხრა თვის მაგივრად მოსწავლეებს უბეჯითნიათ მხოლოდ ხუთიოდე თვე. ეს სამწუხარო მოვლენა იმისგან კი არ წარმოსდგება, რომ გლეხები ფუჟ რამედ სთვლიდნენ სწავლასა და მათ შვილებს არ იზიდავდეს თავისკენ სკოლა, - სრულიადაც არა. გლეხები მზად არიან მთელი დღე დაანარჩუნონ სკოლაში თავიანთი შვილები, მათ სასიხარულოდ, მაგრამ მხოლოდ მაშინ როდესაც შინ გაჭირებული საქმე არ აქვთ, „სწავლა კარგი რამეა“, ამბობენ თურმე გლეხები: მაგრამ კიდევ უფრო საჭიროა ჩვენთვის შვილების დახმარება გაჭირვების დროსაო. და რადგანაც ღარიბს გლეხობას გაჭირვებას ხშირად ეწვევა ხოლმე ამიტომ თითქმის ნახევრობით შინას სტოვებდნენ სკოლის მოწაფეებსა და ამათ მეტად აძნელებდნენ მათს წარმატებას სწავლაში.

უარესი დაბრკოლება სკოლისათვის აღარ იქნება, არც უხეირო სახლი, არც ნაკლულევანება სამოსწავლო ნივთებისა, არც გაიძვერა პირების მტრობა სკოლისადმი და არც სხვა რამე ისე

არ უქსაქსავს სკოლას გზასა და კვალსა, როგორც კანტი-კუნტად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სიარული მოსწავლეთა.

მაგრამ, ყოველი საზოგადო საქმის მოყვარის სასიხარულოდ, სამეურნეო სკოლას ერთხელ კიდევ ცხადად დაუმტკიცებია, რომ ცოდნას ჭეშმარიტს გულ-შემატკივრობას საყოველთაო სიკეთისადმი და დაუღალავ მუყაითობას ყოველ დაბრკოლებს გავლენის გაქარწყლება შესძლებია.

კლასში რომ შევედით ეგზამენი ის იყო დაეწყეთ, პირველად გამოსული მოწაფე იდგა დიდი სასკოლო ფიცრის წინ, უცქეროდა მაცხოვრის დაბადების სურათს და ხსნიდა შინაარს ამ სურათისას, როცა გაათავა ახსნა იმისი, თუ ვინ არიან გამოსახულნი სურათზედ, რა დრო და რა ადგილია გამოხტული, მასუკან შეუდგა მთელი მოთხრობის თქმას გაბმით. შემდეგ ეგზამენატორებმა მისცეს კითხვები ამ მოთხრობიდან ბავშვს არც ერთს მათგანზე პასუხი არ შესცდომია, ჩვენ გაგვარკვირვა ბავშვის შეგნებით ლაპარაკმა, წმინდა, დალაგებულმა ქართულმა ენამ და მარჯვე, მკაფიო პასუხებმა ამასთან ბავშვს ნამცეცი შეძრწუნება, ან შიში რისამე არ ეტყობოდა, - იგი ლაპარაკობდა თამამად, აუჩქარებლივ, თითქოს თავის სახლობაში საუბრობსო, თუმცა ეგზამენზედ იყო ოთხი სრულიად მისთვის უცხო და ჯერ არ ნახული პირი. ჩვენ გვეგონა, რომ ეს უთუოდ საუკეთესო მოწაფეა და სხვანი ვერ გამოიჩინენ ამოდენა ცოდნას საგნისას და ენისასაო; მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ძლიერ მოგტყუვდით. მეორე მოწაფემ, თუ პირველზედ უკეთესად არა, ნაკლებად არ მოგვიგო; მესამემ პირველს კიდევაც გადააჭარბა, მეოთხე მათ უკან არ ჩამორჩა და მთელმა კლასმა ისე მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი საღვთო ისტორისა და ლოცვებში, რომ თითქმის ყველამ უმაღლესი ქულა (5) დაიმსახურა. წინამძღვრიათ სოფლის მოძღვარს რომელიც ამ სკოლაში სჯულის მასწავლებლად არის სინდისიანად, მუყაითად ეშრომნია, შეუსწავლია კარგად პროგრამის მოთხოვნილებანი, გაუცვნია თანამედროვე პედაგოგის მეთოდიკა საღვთო ისტორიისა, ისე გონივრულად შეუთვისებია თავის მოწაფეებისთვის საგანი და ისე დალაგებული ქართულ ენით დაუჩვევია საუბარსა, რომ სწორედ მხურვალე მადლობის ღირსია.

ამასთანავე წარმატება გამოიჩინეს მოსწავლეებმა ქართული წერა-კითხვის ცოდნაშიაც. საკვირველია, რომ ამ კანტი-კუნტად მოსიარულე მოსწავლეთ მოკლე ხნის განმავლობაში

ნახევარზე მეტი გაუთავებიათ „დედა ენა“ და ისიც როგორ? არცერთი მოთხრობა, არცერთი ლექსი, არცერთი სასაუბრო, ანდაზა, გამოცანა და სავარჯიშო არ გაუშვიათ. მოთხრობებს კითხულობენ მკაფიოდ, სრულის შეგნებით თავიანთ სიტყვით შემუშავებულს ქართულს ენაზედ გადმოგცემენ მათს შინაარსსა და მოგიგებენ ყოველს კითხვაზედ, რომელიც კი ამ შინაარსს და მის განვითარებას შეეხება. სამოცადმინ ლექსი, წიგნში მოქცეული, სულ ზეპირად იციან და ისე მტკიცედ, რომ ძნელად თუ რომელსამე მოწაფეს შეცდომა მოუვა. სასაუბროები სრულიად შეუთავსებიათ და საგნების კლასიფიკაციით ისე კარგად მიმხვდარან და დაუხსომებიათ, რომ თითქმის არც ერთს ჩვენს კითხვაზე უგვანო პასუხი არ მიუციათ. რაც შეეხება წერას, საკლასო ფიცარზე თითქმის ყველანი ჩინებურად სწერდნენ.

ართმეტიკიდგან შეუსწავლიათ პირველი ორი ათეული და ყოველს გვარს ამოცანას თავისუფლად ხსნიან წერილობითს არითმეტიკასაც ჯეროვანი ყურადღება ჰქონია მიქცეული და მოსწავლეების რვეულები სავსენი არიან დასკვნილი ამოცანებითა. ამ გვარივე წარმატებით უვარჯიშიან ხატვაში... სიმღერასა და საეკლესიო გალობის შესწავლასაც დიდი სიბეჯითით მოქცევიათ, თხუტმეტამდის სახალხო ჰანგი შეუსწავლიათ და მთელი ოქროპირის წირვის გალობა. მოძღვარს ხორო შეუდგენია და წირვა-ლოცვაზედ აგალობებს ეკლესიაში, რასაც სოფლის მცხოვრებლები აღტაცებაში მოჰყავს.

ფერმაში მუშაობაც ძლიერ შეჰყვარებიათ ბავშვებსა, ელემენტარული მეურნეობის მასწავლებელს მხარი მიუცია თავის ამხანაგებისთვის და ბევრი პრაქტიკული ცოდნა გადაუცია თავის მოსწავლეებისთვის.

ერთი სიტყვით, სკოლას პირველს წელიწადს იმდენი გაუკეთებია, რომ ოპტიმისტური მოლოდინისთვისაც გადაუჭარბებია.

მახლობელი მიზეზები ამ ნაყოფისა არის უფროსი მასწავლებელი სკოლისა ბატ. ხატიაშვილი, რომელსაც მთელი წელიწადი პატიოსნურად, მუყაითად და გონივრულად უშრომნია. პირველი მიზეზი კი რასაკვირველია, თვით ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილის მოღვაწეობა არის, იგი სამაგალითო ერთგულებით დ მუყაითობით ზრუნავდა სკოლაზედ. ყოველ კვირა დადიოდა ქალაქიდან სოფ. წინამძღვრიანთკარში, იგებდა ყოველს გარემოებას სკოლისასა თავის დროზედ და ცდილობდა დაუყოვნებლად აემორებინა მისთვის ყოველი დაბრკოლება.

ორ თვეში ერთხელ მართავდა მსუბუქ ეგზამენს სკოლაში, მერე თბილისში ჩამოჰქონდა ვრცელი ანგარიში მასწავლებლისა იმის შესახებ, თუ რამდენი და რამდენი და როგორ ასწავლეს ყოველი საგნიდგან. ამ ანგარიშის წაუკითხავდა ხოლმე სკოლის საქმეში დახელოვნებულ პირთა, მოისმენდა მათს აზრსა და შენიშვნებსა, მოჰქონდა თან სოფელში ეს შენიშვნები, ქალაქში დაწერილი, და სკოლის პედაგოგიურს კრებაში, როგორც თავჯდომარეს, შეჰქონდა გასასინჯავად და ყურადღებაში მისაღებად.

ჩვენ გვგონია, რომ ყოველმა დამაარსებელმა სკოლისამ, კერძო პირი იქნება, თუ საზოგადოება, უნდა შემოიღოს ამ გვარივე წესი კონტროლისა და ხელმძღვანელობისა, თორემ ახლანდელი ჩვეულება, რომლის ძალითაც მასწავლებელი მხოლოდ წლის გასულს აცნობებს სკოლის პატრონებს საქმის მსვლელობასა და გარემოებასა, ყოვლად დასაწყუნია.

ერთს გარემოებასაც ძლიერ მოუმართნია ხელი სკოლისათვის. სკოლაში მიუღიათ არა შვიდი-რვა წლის ბავშვები, არამედ ათი-თორმეტი წლისა. ეს მეტად გონივრული წესია და დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის წარმატებისთვის. ეს მნიშვნელობა მარტო მაზედ კი არ რის დამყარებული მოზრდილი ბავშვები უფრო ადვილად და ჩქარა სწავლობენ, - აქ უფრო საყურადღებოა ის არის, რომ ამ ხნის ბავშვები სკოლის დასრულების შემდეგ არამც თუ არ ივიწყებენ, რაც უსწავლით, არამედ ცდილობენ, რომ თავის-თავად გააგრძელონ სწავლა და თავისუფალი დრო ახალი ცოდნის შესწავლას მოანდომონ, შენიშნულია რუსეთშიაც და ევროპაშიც, რომ ის მოწაფენი სასოფლო სკოლებისა, რომელნიც ნასწავლს სრულიად ივიწყებენ და მთაში იშლება კვალი სკოლაში ყოფნისა, თითქოს ეკუთვნის მცირე წლოვანების რიცხვსა. შარშან შვეიცარიაში მმართველობამ მოინდომა რაიმე ღონისძიებით მოესპო ეს დავიწყება სკოლაში ნასწავლისა და ამ აზრით განიძრახა სკოლაში ორი წელი სახალხო სკოლის კურსისათვის მოემატებინა; მაგრამ ერთმა გამოცდილმა და განვითარებულმა პედაგოგმა დაარწმუნა იგი, რომ უფრო ადვილად და იაფად შევასრულებთ მაგ საწადელსო, თუ კანონად დავსდებთ, რომ სკოლაში მივიღოთ არა ექვსი და შვიდი წლის ბავშვები, არამედ რვა-ცხრა წლისაო.

მოზრდილი ბავშვების მიღება სკოლაში ისე საჭირო არსად არ არის, როგორც ჩვენში, ამიტომ რომ მთელი კურსი სახალხო სკოლისა მხოლოდ სამ ოთხს წელიწადსა გრძელდება.

მცირე წლოვანი ბავშვი მიღებული ჩვენებურ სკოლაში, ასრულებს კურსს და სტოვებს სკოლას

მაშინ, როდესაც ჯერ მას ხეირიანად არაფერი არ ესმის ქვეყნიერებისა, არ გაეგება მნიშვნელობა სწავლისა და არცის, თუ რა დამოკიდებულება არსებობს სწავლასა და ცხოვრებას შორის. ამიტომ იგი მოკლებულია სურვილს, რომ თავისი საკუთარი მეცადინეობით გააგრძელოს სწავლა, და ჩქარა ივიწყებს მას, რაც მცირე დროის განმავლობაში უსწავლია სკოლაში პატარაობის დროს.

ჩვენ მხოლოდ მაშინ ავიცდებით თავიდან ნასწავლის დავიწყებას, როდესაც კანონად, წესად დავსდებით, რომ სახალხო სკოლაში მიღებული იქნან ბავშვები შვიდი წელს გადაცილებულნი.

ვათავეთ ამ მოკლე ანგარიშს ნატვრით, რომ ჩვენ პირველს სამეურნეო სკოლას მიჰყოლოდნენ მეორე, მესამე, მეოთხე, და მეხუთე გუნდი ამ გვარივე სკოლებისა დაარსებულიყვეს ჩვენს ქვეყანაში, რომლისთვისაც ჩვენს ქვეყანაში, რომლისთვისაც მეურნეობა ყოფილა, არის და იქნება ქვაკუთხედი არსებობისა. პირველი ნაბიჯია მხოლოდ ძნელი, პირველი სკოლის გამართვა მეტად რთული საქმეა, შემდეგი ნაბიჯების გადადგმა, შემდეგი სკოლების დაარსება ერთი ათად უფრო ადვილია. საჭიროა მხოლოდ, რომ აღმოჩნდნენ პირნი, რომელთაც გული შესტკივათ საზოგადო სიკეთისათვის, რომელთაც მუყაითობა არ აკლიათ და ნივთიერებითი შეძლებაც ბედს მიუნიჭებია. იმისთანა ხალხით გაჭედო და მარჯვე ადგილებში, როგორც გახლავთ, მაგალითად, მუხრანი, სამეურნეო სკოლა დიდის წარმატებით იმოქმედებს, ყოველთვის სავსე იქნება მოსწავლეებით და აუარებელს სიკეთეს დასთესავს ჩვენის ხალხის ცხოვრებაში.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა

ქ.თბილისი, 181- ე საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ნიკა ჯორბენაძემ**